ოქმი:**ო02. 3725148001**

თარიღი:**28/05/2025**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 27 მაისი

ქ.ოზურგეთი

14:00-14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, გ. შილაკაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, დ. მდინარაძე, ტ. აროშიძე, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 14 მარტის N4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: თემურ მურვანიძე.

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე .

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: თემურ მურვანიძე.

3. ქალაქ ოზურგეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე(საკ.კ.26.26.55.164) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: თემურ მურვანიძე.

4. ქალაქ ოზურგეთში, აპოლონ წულაძის ქუჩაზე(საკ.კ.26.28.47.006) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: თემურ მურვანიძე.

5. დაბა ურეკში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე(საკ.კ.26.26.17.006) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: თემურ მურვანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია, ვრცლად დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დღის წესრიგის N2,3,4 საკითხები კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ, კერძოდ ისაუბრა მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციულ ერთეულებზე, სადაც მიზანშეწონილია ავტოსადგურების განთავსება. კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის მე-5 საკითხზე, დაასახელა ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ხუთივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი